შაბათი, იულისის 2 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 140

ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქციაა ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დამწუხრებული სოფიო დიმიტრის ასული აუწყებს ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 3 აგვისტოს ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის პროვიზორის

დავით ვასილის ძე გლუშაკოვის

სულის მოსახსენებლად,

მშობლები ალექსანდრე და მარიამ მღებროვები აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ კვირას, 3 აგვისტოს დილის 11 საათზე სომხების ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი შვილის

ანა |შუშანა| მღებროვის

სულის მოსახსენებლად.

2—1

ქუთაისის 1-ლი საერთო განალეთბის კურსები
(უფლებებით)

გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად (მესამე ვიპუსკი) უკვე დამთავრდა. ამ ჟამად მეცადინეობს 4, 5, 6 და 8 კლასები. ახალი მოწაფეების მიღება გრძელდება. უ. დ. სასწავლებლებში კურს დამთავრებულები მიიღება გამოუცდელად მეხუთე კლასში. ჩამორჩენილებისათვის საგნებში სწარმოებს უფასო რეპეტიციები შესაფერ კლასებში მისაღებად. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება თფილისის ქუჩაზე დ. ჯანელიძის სახლში სრულ უფლებიან 8 კლ. გიმნაზიის შენობაში დილის 11 ს. ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5 საათ. 7 საათამდე.

კურსების გამგე დ. მხეიძე.

---

9 აგვისტოს

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

საზაფხულო საკრებულოში

გაიმართება

დიდი საღამო

ანონსი

კურსების გოგირდის აბანო.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯავანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. კურსებში არჯავანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი) აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახდა დღეში ორჯერ.

თვ. **მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.**

ქუთაისის საზოგადო განათლების საღამოს
კურსების
(რომელიც უკვე სამი წელი არსებობს)

მასწავლებელთა კოლეგიამ განათლების სამინისტროდან დანიშნული დეპუტატის თანადასწრებით წელს მსმენელთა მესამე გამოშვება (Выпускъ) მოახდინა; მერვე კლასის **ატესტატზე** და მეექვსე და მეოთხე კლასის მოწმობებზე. საზოგადოების საყურადღებოდ **კოლეგია** აცხადებს, რომ ახალი სასწავლო წელი იწყება 5 აგვისტოდან (ახ. სტ.) თხოვნების მიღება გრძელდება. ოლდენბურგის ქუჩა, ერისთავის სახლი, რეალურ სასწავლებელთან.

6—4 **მასწავლებელთა კოლეგია.**

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში კვირას 3 მარიობისთვეს დანიშნული, საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ნახმარი თეთრეულობა, ჯარის კაცთა ბლუზები და შარვალები. ჩექმის საპირეების ჩამონაჭრები, ძველი ფეხსაცმელები, კონსერვები. დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე პირველ სწყობში (ჭავჭავაძის ქუჩა დიდი ციხის პირდაპირ) დეზინფექცია ტანისამოსებისთვის და ძველი ფეხსაცმელებისთვის სავალდებულოა მყიდველისათვის. განცხადებები ამ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზე ფასის აღნიშვნით მიიღება ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში დახურულ კონვერტებში დილის 11 საათამდე 3 მარიობისთვისა 1919 წლ.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს **ერობის ხმოსანთა საყურადღებოთ**, რომ ამა წლის 7 აგვსტოს დღით ხუთშაბათს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე **დანიშნულია ქუთაისის სამაზრო**

ერობის ხმოსანთა ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. ხონის რკინის გზა,
2. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა,
3. ცენტრი და ერობათა ყრილობაზე წარმომადგ. არჩევა,
4. შტატების გადასინჯვა,
5. მილიონ-ნახევრიანი სესხის საკითხი,
6. მიმდინარე კითხვები,
7. გამგეობის წევრის არჩევა.

გამგეობა.

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი ვ. ი. **მაჭავარიანი.** იღებს საბებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ.

მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—1

მიწის კანონი და უფლებრივი არევ-დარევა.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა შემომჩივლა: ლახუნდარაში ერთს ოჯახს დავესიძე და იქვე დავესახლე. შვიდი დესეტინა ეზო და ტყე დაზიტოვეს, საყანეები კი ჩამომართვეს. ორი თვის საყოფი სიმინდი ალარ მომივა. არ ვიცი, ოით-ლა ვარჩინო ცოლშვილიო.

ეს კიდევ არაფერი! ხსენებული შვიდი დესეტინა იურიდიულად ჩემი ცოლშვილის საკუთრებაა. მე კი ჩემ საკუთრებაზე (ლორეშაში) ხელი ამაღებინეს. მითხრეს: შენს ცოლს როცა მამული აქვს, შენ რისოვისღა გინდაო!

ამგვარად მე, მოხუცს, სრულიად ალარა მაქვს საკუთრება და ჩემი ბედი ჩემი ცოლშვილის ნება სურვილზე ჰკიდია. წარმოვიდგინოთ, რომ მომიძულეს თუნდა ჩემი შვილების რძლებმა. ამგვარი მოვლენა ხომ ხშირია, ვისღა მივმართო მაშინ?

აი კიდევ ერთი მაგალითი. თელავში რამდენსამე მას ათასი დესეტინა ჩამოარეოვეს და მხოლოდ ეზო და ვენახი დაუტოვეს. ძმებმა, როცა ჯერ მიწისკანონის ხსენებაც არ იყო, ერთერთს გათხოვილ დას შვიდი დესეტინა მისცეს მზითვად. კომისიამ კი იმ შვიდ დესეტინასაც მოხვია ხელი. ქალი ჩივის: ჩემს ქმარს (ერთს

იმ ერელ აზნაურს) არც იმერეთში და არც სხვაგან სრულიად არა გააჩნია — რა.

მე კი ჩემს ძმებთან ადარ ვცხოვრობ და იმ ჩემს შვიდ დესეტინაზე საკუთარი ვენახის გაშენებას ვაპირობდი. მხოლოდ ომმა და ანარქიამ შემიშალა ხელი. მეუბნებიან: საკუთარი ოჯახი არა გქონდა და ამიტომ ჩამოგართვით მიწაო. მაგრამ, ერთ-ორ წელიწადს რომ ეცლიათ, ჩემ შვიდ დესეტინაზე საკუთარი მოსახლეობა მექნებოდაო.

ზოგან შვიდ ძმას მხოლოდ შვიდი დესეტინა დაუტოვეს.

მაგიერად მე ვიცი ასეთი მაგალითი. ერთ სოფელში პირველხარისხოვანი, დიდ ღირსებიანი მიწა მესამე ხარისხოვნად ჩასთვალეს, ორმოცი დესეტინა ცოლს მიუზომეს, ორმოცი ქმარს!

ვიცი აგრეთვე, რომ სოციალ-დემოკრატიის დიდ ბობოლებს არ შეეხენ და არაფერი არ ჩამოართვეს!

საზოგადოდ კი უნდა ითქვას: უმეტეს შემთხვევაში ქალები დაიჩაგრენ: საკუთრებაზე მთლად ხელი ააღებინეს.

და, რაც უარესია, საშინელი უფლებრივი არევ-დარევა შექმნეს. ზოგან ცოლი გახადეს ქმრისამარად, ზოგან ქმარი ცოლისამარად, ზოგან კი ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ კაცმა არ იცის, ვისია მიწა: ცოლის, ქმრის, ძმისა თუ დის!

ამგვარს უფლებრივ ნორმებში მიწისმოქმედების განვითარება — შეუძლებელია. და დამფუძნებელმა კრებამ ამგვარს უფლებრივ არევდარევას — ბოლო უნდა მოუღოს.

ვასილ წერეთელი.

ერთი თაგვი—ოცი კაცი!..

წითელი რუსეთის სამხედრო კომისარმა ტროცკიმ კომუნისტ მუშების კრებაზე, როდესაც მათ ჯარში წასვლაზე შიმშილობის გამო უარი სთქვა, — განაცხადა. —

— შიმშილობა მაშვინ დადგება, როდესაც ერთ მაძღარ თაგვს ოცი მშიერი კაცი დაედევნება...

ერთი თაგვი და ოცი კაცი!..

ისტორიას ჯერ არ ახსოვს რომ ოცი კაცი ერთს თაგვს დადევნებოდეს.

მაძღარი კატები იჭერენ თაგვებს, მაგრამ მისთვის კი არა რომ ტკბილეულის მაგივრათ მიირთვან. კატები თაგვების ისტორიული მტრები არიან.

კომუნისტურ რუსეთში დიდი შიმშილობაა.

ყირიმი, თერგი და ყუბანი, — ეს ხორბლეულობის ბეღელი, — ბოლშევიკებს პურს არ აწვდის.

მოკავშირეებმა წითელ რუსეთს ბლოკადა გამოუცხადა და შიმშილობის საშინელებამ მწვავე სახე მიიღო.

შია ყველას:

მდიდარს

და ღარიბს.

უკეთეს პირობებში პრივილეგიით აღჭურვილ კლასს — მუშებს დღეში მეოთხედი გირვანქა პური ეძლევათ.

მეოთხედი გირვანქა, როდესაც ადამიანის არსებობისათვის საჭიროა გირვანქა ნახევარი ხორცი და ამდენივე თეთრი პური.

ნორმალური ცხოვრება ასეთ გამოკვებას მოითხოვს.

მაგრამ წითელი რუსეთის სხეულის ყოველივე კუნთები და ძარღვები ისეა დაჭიმული რომ ნორმალური კვება კი არა ნორმალური აზროვნებაც სიზმრად გადაიქცა.

ყველაფერი ფსიხოზის ქსელით იმოსება.

და ერთი თაგვი — ოცი კაცისთვის, ეს სოციალისტ-კომუნისტების ექსპერიმენტია.

ბოლშევიკ მუშებს მოსწყინდათ ომი, მოსწყინდათ აუტანელი შიმშილობა და ტროცკიმ უებარი საშუალებაც გამონახა.

ოცი კაცი-ერთი თაგვი!..

როდესაც ძლევა მოსილმა ალექსანდრე მაკედონელმა გამარჯვებული და ძლევა მოსილი მხედრობა ინდოეთში შეიყვანა-ჯარი უწყლობით შეწუხდა და სამშობლოში დაბრუნება მოითხოვეს. ერთხელ ერთი თასი წყალი იშოვეს და მეფეს მიართვეს. ალექსანდრემ აიღო თასი ხელში და თავის მხედრობის თვალწინ წყალი დაღვარა.

ამით გმირმა მხედარმა თავის მებრძოლებს დაუმტკიცა, რომ იგიც საერთო გაჭირვების მოზიარეა.

სამხედრო კომისარი ტროცკი დამშეულ მუშებს კი იმით ამხნევებს, რომ რუსეთში ჯერ ოც კაცზე ერთი თაგვი არ გამოლეულა.

კარგი ნუგეშია!..

მაგრამ სახელმწიფოს მაჯის ცემა, თუ შეიძლება ვუწოდოთ კომუნისტურ რუსეთს სახელმწიფო, დამყარებულია უმთავრესად სასურსათო საკითხის კარგ მოგვარებაზე და რაც მეტი თაგვები იქნება სახელმწიფოში მით უფრო ადრე გაშლის თავის ფრთებს შიმშილი.

ბუნების მეტყველებიდან ვიცით, რომ თაგვები ცხოველების მხრხნელთა ოჯახს ეკუთვნის.

ამ კატეგორიის ცხოველების ხორცს თანამედროვე ადამიანები არ სჭამენ და განსაკუთრებით თაგვებისას.

თაგვის ჭამა კიდევაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ოცი კაცი ერთ თაგვს ვერ გაინაწილებდა, რადგანაც იგი მეტად პატარა ცხოველია და ჩრდილოეთის მოუხეშავ. მუშებს ამ ერთი თაგვის განაწილების დროს დიდი ჩხუბი მოუვიდოდათ.

და ტროცკის მხედრობას თაგვზე მონადირე ხალხის გაზოებისათვის დიდი დრო დაეკარგებოდა.

ტროცკიმ ყოველ შემთხვევაში თავისი განცხადება უნდა შესცვალოს: —

ოცი თაგვი და ერთი კაცი.

შეიძლება ამ ლოზუნგმა ჩრდილოეთის კომუნისტი მუშები ადარ აამხედროს.

წითელ რუსეთში ბევრი თაგვები უნდა მოიპოებოდეს, რადგანაც თაგვების სოციალიზაცია იქ ცხოვრებაში ჯერ არ გატარებულა.

ნიკ. ასათიანი.

საფრანგეთის პრესა საქართველოზე.

გაზ. „ჰეი“-ს თიბათვის 13-ის ნომერში დაბეჭდილია საფრანგეთის რევოლიუციის გამოჩენილ ისტორიკოსის პროფესორ ოლარის წერილი „დენიკინი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ“ ისტორიკოსის სახელი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის რომ საფრანგეთის საზოგადოებას ამ საგანზე ყურადღება მიექცია. მოგვაქვს ზოგიერთი ადგილები:

„ჩვენ მიერ ჩადენილ ამოდგენ უკანონობაში ყველაზე უკანონოა ჩვენი დამოკიდებულობა საქართველოსადმი. გენ. დენიკინი მეგობარი ჩვენი მთავრობისა მზადდება დასაპყრობად.

ერთი წლის წინად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ხნის განმავლობაში ქართველ ხალხის ძალთა გაერთიანებით ბოლშევიკური ანარქია მოსპობილ იქმნა. დამყარდა საგარეო სახელმწიფოს მართვის სისტემა, შეიქმნა ხორმალური პირობები საზოგადოებრივ ცხოვრებისა, მოწვეულ იქმნა დამფუძნებელი კრება — საქართველოს ხალხის ნებიყოფის გამომხატველი ორგანო. ამ შემთხვევაში მე ვეყრდნობი საქართველოს დელეგატების დეკლარაციას, /რომელიც საზავო კონფერენციას წარუდგინეს.

თუ რომელიმე უვიცი საქართველოს მმართველ სოციალ-დემოკრატებს კიდევ ბალშევიკებადა სთვლის, მაშინ მან წაიკითხოს მჭერმეტყველ წერილის სიტყვა 26 აპრილს 1918 წელს წარმოთქმული, ალბერტ ტომას წინასიტყვაობით გამოცემული, ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის გამო წარმოთქმული.

სწორედ ბოლშევიზმის გამო გამოეყო საქართველო რუსეთს. წერეთელი მკაცრად დაასკვნის, რომ ბოლშევიზმმა სასიკვდილო მახვილი ჩასცა რუსეთის სახელმწიფოებას!

საქართველოს დამფუძნებელი კრება, შესდგება თითქმის სულმთლად სოციალ-დემოკრატებისაგან რომელნიც ანტი ბოლშევიკურად არიან განწყობილნი.

საქართველოს მთავრობამ, ჟორდანიას მეთაურობით, შესძლო წესრიგის აღდგენა“.

შემდეგ ოლარი ასწერს აგრარულ რეფორმის საფუძველს და განაგრძობს:

მე არ შეუდგები დეტალების განხილვას. აღვნიშნავ მხოლოდ რომ რეფორმის ნამდვილი მიზანი იყო არა მიწის მუშაობის რაოდენობის გაზრდა, არამედ შრომისა და მიწის განთავისუფლება მომავალ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

ქართველი ხალხი დაიწყებს ამ საფუძველზე მუშაობას, უკეთა ვსთქვათ დაიწყებდა რომ დენიკინი ხელს არ უშლიდეს, დენიკინი ხელს უშლის ქართველ ხალხს და სურს იარაღით ხელში მოსპოს ეს დემოკრატია.

იგი მისთვის უფრო საშიშია რადგან [illegible] პოზიტივისტების ლოზუნგის ქვეშ: წესრიგი და პროგრესი.

როგორც მოგეხსენებათ საქართველოში ეხლა ინგლისის ჯარია, რომელიც ანტანტის სახელით მოქმედობს. ქართველებმა მას გაუმართეს გულწრფელი შეხვედრა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს.

მემორანდუმი*)

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი სხვა წრე, რომელიც შეგებებოდეს რევოლიუციას და საქართველოს განთავისუფლებას ისეთი სიხარულით და იმედით, როგორც ამას შეხვდენ ქართველი მწერლები.

იმ დროს, როცა ცარიზმი ანადგურებდა, ყოველივე ჩანასახს საზოგადოებრივი აზრისას, როცა საქართველო მოკლებული ყოველ შესაძლებლობას გამოეთქვა თავის ნება სიცოცხლისა და თავისუფლების თანდათან ჰკარგავდა გადარჩენის იმედს — ქართველი მწერლობა უკანასკნელი ბრძოლის ცეცხლით შთაგონებული თავის გარშემო იკრებდა ძალა და არყოფილა ასეთი შემთხვევა — რომ მწერლობას ბრძოლა არ მიეღო დახალხი არ გაემხნევებია უკეთესი მომავლით და თავისუფლების სიყვარულით. ამიტომ მწერლობამ მიიღო ხალხური ხასიათი, ყველა, ვინც იყო კეთილშობილი, ვისაც ჰქონდა გამბედაობა და გულში ენთო ბრძოლის ალი, ეევდრებოდა ქართულ მწერლობას და აქედან იქმნებოდა ძლიერი ზნეობრივი ძალა, რომელიც იმ შავ დროს ანათებდა ხალხის იმედს, როგორც უქრობელი ალის სვეტი.

ქართველ მწერლობისთვის არ ყოფილა სხვა რამე ანგარების მიზანი — მწერლობა იყო თავის თავის დავიწყება, თავის თავის მსხვერპლად მიტანა და მოწამეობა.

ეს მოწამეობა ახასიათებს ქართველ მწერლობას ბოლომდის, ამ მოწამეობამ შექმნა ზნეობრივი სიმაღლე მწერლობის და უნდა ითქვას აგრეთვე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვისმეს დაერღვიოს, ეს საერთო თავგანწირვა, რაიმე ეგოისტური გამოსვლით.

ამიტომ ერი ახლოს იღებდა გულთან ამ სიყვარულს და სიყვარულითვე უპასუხებდა თავის თავისუფლების შთამგონებელთ.

შესაძლებელია სხვა ერს ახსოვდეს უფრო თავგამწირავი მწერლობა, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაიმახსოვრებს უფრო მადლიერ ხალხს, როგორც ქართველი ხალხია.

მთელი მეცხრამეტე საუკუნე, როცა საქართველო მოკლებული იყო ყოველ მატერიალურ საშუალებას და ცარიზმის კლევრეტებს მათხოვრობამდე დაჰყავდა — ხალხი თავის უკანასკნელ ქონებიდან იღებდა ნაწილს და არაფერს არ ზოგავდა, რომ როგორმე გამოეთქვა თავისი თანაგრძნობა მწერლობისადმი.

ამის მაგალითები ბევრია: ეს იყო მიზეზი, რომ მწერლობა მოკლებული ჰონორარს, მოკლებული საშუალებას თავის პროფესიის გამოყენებისას უკანასკნელ დღემდე ხელს არ იღებდა მწერლობაზე. ჰეშმარიტად ქართველი ერი იყო ერთადერთი ერთობი მეცენატი, რომელიც თავის ტანჯვით იწვევდა ეროვნულ შთაგონებას და თავის მადლიერობის გრძნობით ჰქმნიდა მორალურ სტიმულს, რომ მწერლობა არ დაცემულიყო.

ასეთი იყო ხასიათი მწერლობის განურჩევლად მისი ნაწილებისა: პუბლიცისტი პოეტი, მხატვარი, არტისტი — ერთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, და ერთნაირი გატაცებით და აღფრთოვანებით არ ზოგავდა თავის თავს.

ეს უაღრესათ დემოკრატიული მიმართულება და შემადგენლობა მწერლობის იწვევს იმას, რომ არც ერთი ხალხის მასაში არ გაუნათებია მაღალ იდეებს ისე ფართოთ, როგორც ქართველი ხალხი — სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის იდეები ისე აღელვებს ჩვენ ხალხს, როგორც მის მეთაურებს.

დღეს რევოლიუციის ცეცხლში იშვა ჩვენი თავისუფლება, საქართველო აღსდგა, როგორც სახელმწიფო და ყოველი მისი ორგანო ბუნებრივ შენოქმედებას იჩენს... მაღალი ოცნება თაობათა მთელი რიგის მოღწეულია. საქართველოში მოეწყო ქართული ადმინისტრაცია, შესდგა ეროვნული ჯარი და რევოლუციონური გვარდია — დაეწყო აგრეთვე ეკონომიური და ფინანსიური აპარატი. ჯერ კიდევ სანამდი დამფუძნებელი კრება იქნებოდა მოწვეული დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც განაგრძობს არსებობას, მთავრობის და ხალხის მზრუნველობით გაღებული.

გარდა სახელმწიფოებრივ დახმარებისა — უნივერსიტეტის და თეატრისთვის იმართება ბევრ მილიონიანი სახელმწიფო ლატარეა.

ამ დროს მზრუნველობას მოკლებულია მხოლოდ მწერლობა, რომელიც აქამდე მხოლოდ ერთი იყო მზრუნველობას მიჩვეული.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ კაზმული მწერლობის წარმომადგენელნი.

უნივერსიტეტი და სხვა ეროვნული შკოლები ჰქმნიან თავის შტატს და განათლების სამინისტროს დახმარებით უშვებენ სახელმძღვანელო წიგნებს, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ ავტორებს.

პოლიტიკური ცნობების გამძაფრებამ გამოიწვია, რომ ბევრი პოლიტიკური მოღვაწე და მწერლები, რომელნიც უწინ ერთგვარ მდგომარეობაში იყვენ სხვა მწერლებთან, დღეს სათავეში ჩაუდგენ სახელმწიფოს და გამრავლდა აგრეთვე პოლიტიკური გამოცემები — განსაკუთრებით გაზეთები.

უწინ არასდროს არ ყოფილა ასეთი მოთხოვნილება ყოველდღიურ გამოცემების, როგორც დღეს... აგრეთვე უკეთესს მდგომარეობაში არიან ის დარგები ხელოვნების, რომელთაც პროფესიაც არ არის მარტო წმინდა მწერლობაზე დამყარებული: რიცხვით მცირე ქართველმა მუსიკოსებმა და არტისტებმა ჩიაბარეს როგორც სასწავლებლები, ისე ტეატრები.

არსებობს კიდეც სახელმწიფო თეატრი და კონსერვატორია.

ქართველი მხატვრები, რომელნიც აქამდისაც თითით დაითვლებიან, საერთო მდგომარეობას უფრო შეეგუენ და მათი გამოფენა მათი ბრწყინვალე გამარჯვებით

*) მემორანდუმით ქართველ მწერალთა საბჭომ მიმართა მთავრობას 5 თიბათვს.

ა. ინგლისელები ქართველებს დაჰ-
ენ რომ მათი ტერიტორია ხელუხ-
ლი იქნება. მაგრამ მათ არ ესმით,
ად არის რომ საქართველო გულში
უტებს კონტრ-რევოლიუციურ დე-
ის ლაშქარს. მართლა ისინი ეუბნე-
დენიკინს: „ნუ მოხვალო წინ“ მაგ-
ასამზღვრო ინცენდენტების საშუა-
ი მაინც წინ მიიწევს. მას ეხლა სა-
ველოს 2 ოლქი დაკავებული კიდეც
და ემუქრება დანარჩენ ოლქებსაც.
ქართველებში დიდ აღელვებას იწ-
თითქმის ოფიციალური განცხადებაა,
ახლო მომავალში ინგლისის ჯარს
ლიური ჯარი შესცვლისო ამ უკმა-
ილების გრძნობას გამოურკვევლობის
ობასაც უმატებს.

ართველთა აღელვება სრულიად სა-
ოლიანია. დენიკინი ყოველ დემოკრა-
ს წინააღმდეგია, თუ ის თბილისში
ა მაშინ საქართველოს დემოკრატიას
ელავს და რუსეთის ცარიზმის უღელს
ადგამს. მისი „მგლების ასეული, მათ-
ებით გაჰფანტავს საქართველოს დამ-
უნებელ კრებას.

ამავე დროს საფრანგეთის რესპუბლიკა
ნ. დენიკინს მილიონობით აძლევს ფულს,
ალს და სურსათს. ნუ თუ ეს იმისთვის
ება რომ მან საქართველოს რესპუბ-
კა გასთელოს? რა სირცხვილია! რა
ანონობაა? რა ბოროტმოქმედებაა!

მიუხედავად ასეთი გულგატეხისა მე
ინც ვიმედოვნებ რომ შეთანხმების სა-
ლმწიფონი უბრძანებენ დენიკინს საქარ-
ველოს რესპუბლიკას ნუ აწუხებს.

ნ ბიენემეს წერილი საქართველოზე.

ჰუსტავ ჰერვეს გაზეთ „ვიქტუარ“-ის
ნომბათვის 14 ნომერში დასტამბულია ბ ნ
ენემეს წერილი:

„საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა
ა უფრო ძველი კულტურის მქონე
ვიდრე რუსეთი, რომელსაც 120 წლის
ინად იმისათვის შეუერთდა რომ ისლამს
ერ დამონებოდა. სულთანსა და მეფეში
ან მეფე არჩია, მაგრამ ეს მან მძიმე
ირძნობით მოიმოქმედა.

[illegible] ოდესაც [illegible] და
და ალარც მეფე სამი მილიონი ქართველი
თავის დამოუკიდებლობას მოითხოვს. მა-
ი ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, ზნე
ვეულებანი და ეროვნული გრძნობა

ისეთივე საფუძველია საქართველოსი
როგორიც მათი მეზობელ სომეხთა რეს-
პუბლიკისათვის.

ხალხთა ლიგამ სერიოზული ყურადღება
უნდა მიაქციოს საქართველოს მოთხოვ-
ნილებებს და არ შეუერთოს ძალით რუ-
სეთს“.

ჩრდილო-დასავლეთის მთავ-რობა.

საფრანგეთის პრესის ცნობით ჰელ-
სინგფორსში რუსეთის კომიტეტმა შეად-
გინა რუსეთის მთავრობა, რომელმაც უნ-
და ჰმართოს რუსეთის ბოლშევიკებისა-
გან განთავისუფლებული ოლქები. მინის-
ტრთა თავმჯდომარე არის გენ. იუდენი-
ჩი—საგარეო საქმეთა მინისტრად—კარ-
ტაშევი; გზათა—სუვოროვი; ვაჭრობის
ლიანიზოვი მრეწველობის კუზმინ კარა-
ვაევი; სამხედრო—გენ.—კონკმეროვსკი.

მთავრობის ადგილ სამყოფელად არჩე-
ული აქვთ ჯერჯერობით ქ. რეველი.

პოლჩაკის მთავრობა.

მინისტრ-თავმჯდომარე — პეტრე ვოლო-
გოდსკი.

სამხედრო მინისტრი გენ. მაიორი სტე-
პანოვი, მინისტრთა საბჭოს წევრი გირსი
ფინანსთა მინისტრია—მიხაილოვი, იუს-
ტიციის მინისტრის მაგიერ მოროზოვი,
მიწად მოქმედების მინისტრი, პეტროვი—
განათლების მინისტრის მაგიერ—პრედ-
ბრაჟენსკი. სახელმწიფო კონტროლიორი
—კრასნოვი, შინაგან საქმეთა სამინის-
ტროს გამგე პეტელიაევი—შრომის სამი-
ნისტროს გამგე ლ. შუმილოვსკი გზათა
სამინისტროს გამგე სტეპანოვი. ვაჭრო-
ბა-მრეწველობის სამინისტროს დროებითი
გამგე ტომაშევსკი, საგარეო საქმეთა სა-
მინისტროსი სუკინი და სასურსათო და
მომარაგების მინისტრად კეკელიუგტინი.

უმაღლეს მთავარ მართებულესა და
მინისტრთა საბჭოს საქმეთა გამგეთ გ.
ტელბერგი.

რ. გაგაშვილის დატუსაღება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარ-
გულებით დახურეს გაზეთი „სალი კლდე“,
რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს.

; იმავე მინისტრის განკარგულებით დაა-
ტუსაღეს რ. გაბაშვილი იმ წერილის გა-
მო რომელიც მან დაბეჭდა გაზეთ „სალ
კლდეში“ სათაურით: ჩვენი პასუხი ინგ-
ლისელებს.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

მამისონის უღელტეხილზე. მამისონის
უღელტეხილზე, სადაც ოსები ჩვენს მო-
დარაჯეებს თავს დაესხენ, 28 ივლისიდან
მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოთ შეი-
ცვალა. საღამოს 4 საათზე ჩვენმა ჯარმა
და გვარდიამ წინ წაიწია და დაიკავა
მთელი მთა. ხალხი ჯარს აღტაცებით
შეხვდა რაჭაში.

✦ **მოსავალი.** როგორც სხვადასხვა
სოფლებიდან გვწერენ წელს მეტად ცუდი
მოსავალი იქნება.

✦ **მთავრობისა და ანანოვის საქმე.**
ამ დღეებში ქუთაისის საოლქო სასამარ-
თლომ გაარჩია მთავრობისა და ანანოვის
საჩივარი. ანანოვი მთავრობას უჩივოდა
შამულის უკანონოდ ჩამორთმევას. სასა-
მართლომ ანანოვს უარი უთხრა.

✦ **5 მილიონი სესხი ქუთაისს.** ამას
წინად ქუთაისის ქალაქის საბჭომ და ქა-
ლაქის გამგეობამ მთავრობის წინაშე შუ-
ამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისის
თვითმართველობისათვის მიეცა 5 მილი-
ონიანი სესხი. მთავრობამ ეს შუამდგომ-
ლობა უკვე განიხილა და დაადგინა მიე-
ცეს ქუთაისის თვითმართველობას 5 წლის
ვადით 5 % მილიანი მანეთი. ამ სა-
კითხს ახლო მომავალში დამფუძნებელი
კრება განიხილავს.

✦ **ლიტერატურული კრებული** ქარ-
თველ მწერალთა კავშირის გამგეობას გან-
ზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს
დიდი ფორმატის ლიტერატურული კრე-
ბულის პირველი ნომერი. კავშირი სთხოვს
ყველა მწერლებს გაგზავნონ რჩეული ნა-
წერები.

✦ **ერ. დემოკრატების შეკითხვა.**
ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ რ.
გაბაშვილის დაპატიმრებისა და და გაზ.
„სალი კლდის“ დაკეტვის გამო დამფუძ-
ნებელ კრებაში შეკითხვა შეიტანა.

✦ **შრატის დასამზადებელი სადგური.** საქონლის ჭირთან საბრძოლველი
შრატის დასამზადებელი ქუთაისის სადგუ-
რი ამ ახლო მომავალში გადატანილი იქ-
ნება ციხისჯვარში.

✦ გამოვიდა **ვ. ლერიან გაფრინდა-
შვილის** ლექსთა კრებული: **დაისები.**

✦ **გ. ტაბიძის** ლექსთა მეორე წიგნი
იყიდება სადგურის კიოსკში.

✦ **ნიკო ლორთქიფანიძემ** დასწერა
ახალი რომანი: **„ჟამთა სიავე“.**

✦ **სამხატვრო საზოგადოების საზო-
გადო კრება.** დღეს 2 აგვისტოს ყაუხჩა-
შვილის ქალთა გიმნაზიის დარბაზში,
საღამოს 7 საათზე შესდგება ქუთაისის
სამხატვრო საზოგადოების წევრთა საზო-
გადო კრება. განსახილველია ფრიად სა-
ყურადღებო საკითხები.

ქართველთა მობილიზაცია პეტროვსკში.

პეტროვსკის მოხალისეთა რაზმის უფ-
როსმა გამოსცა ბრძანება, რომ არა უგვია
ნეს მკათათვის 9-სა ყველა ქართველი
1906—1920 წლამდე გასაწვევი სამხედ-
რო უფროსთან უნდა გამოცხადდეს.

მობილიზაცია არ ეხება იმ ქართველთ,
რომელნიც მოხალისეთა სამფლობელოში
გადმოსახლებულან არა უგვიანეს 1914
წლისა და წერილობით განაცხადებენ,
რომ რუსეთის სახელმწიფოებრივობას არა
სცნობენ.

ამ კატეგორიის ქართველნი უნდა გა-
მოცხადდენ რაზმის სამმართველოში რე-
გისტრაციისათვის.

გათოვი.

მკათათვის 24 საღამოს სტამბოლიდან
მოვიდა ბერძენთა გემი რომელმაც მოი-
ტანა შაქარი 700 ფუთი, ასანთი 20 ყუ-
თი სოდა, 100 ბოჭკა და გაზეთის ქა-
ღალდი.

— 27 მკათ. დილის 4 საათზე ინგ-
ლისის სერჟანტმა დაატუსაღა მახმედ ჯა-
ფარ ოღლი ბანქოს თამაშობისთვის.

— სავალდებულო დადგენილების დარ-
ღვევისათვის ინგლისის გუბერნატორმა
700 მანეთით დააჯარიმა მემედ ოღლი.
ხუთას ხუთას მან. ვიქტორ ვარჟალედი
და მუსეინ აღა აბაშიძე.

დასრულდა... დემოკრატიულმა მთავრო-
ბამ გამოიჩინა დიდი მეცენატობა. რაც
ალბათ აღნიშნული იქნება, როგორც უკე-
თილშობილესი აქტი.

ამნაირივე კეთილშობილ აქტათ ჩაით-
ელება ისიც, რომ მთავრობამ არ გამოი-
ჩინა ეროვნული მიკერძოება და ნაციონა-
ლურ გალერეისთვის შეიძინა როგორც
სომხების, ისე რუსის მხატვრების სურა-
თები—და ამით გამოხატვა მისცა იმ მა-
ღალ იდეებს ინტერნაციონალისას და
უნივერსალობისას რომელიც ახასიათებს
ჩვენ ერს.

ქართული მწერლობა მიჩვეული იყო
თავის თავზე გაჩუმებას და დღესაც უკანა-
სკნელი ლაპარაკობს, თავის გაჭირვებაზე,
მაგრამ ეს გამოწვეულია უკიდურესი
მდგომარეობით. ქართველ მწერალთა სა-
ბჭოს მოდის აუარებელი ცნობები, რომ
ქართველი მწერლების გაჭირვება ფანტა-
სტიურ სახეს იღებს. ჩვენ ქვეყანაში,
სადაც აუარებელი ლტოლვილნი ირჩენენ
თავს მწერლები შიმშილისაგან ქუჩებში
ეცემიან, გამწვავ შიმშილი ხშირი მოვ-
ლენაა როგორც ყოველ გარდამავალ
დროში, როგორც ეს ახლოვს საფრანგე-
თის რევოლუციას—ერის სული ორმაგ-
დება. თუ ერთი მხრით კეთილშობი-
ლება თავს სწირავს რევოლუციას, მეორე
უდიდესი ნაწილი ერის ეწევა სასტიკ
სპეკულიაციას და იწვევს კრიზისს.

საქართველოში ეს კრიზისი არას
დროს არ ყოფილა ისე მწვავე როგორც
დღეს.

და ყველაზე უფრო მწარეთ სწორეთ
მწერლებს სწვდება ეს კრიზისი.

ქართველი მწერალი მოკლებულია სა-
შუალებას წიგნი გამოუშვას: კერძო ინი-
ციატით შეუძლებელია გამოცემის საჭი-
რო მასალების, როგორც ქაღალდი და
სხვა მასალის შოვნა, რომ არ სთქვა,
რომ ეს მასალა ფანტასტიურია ძვირია.
გამომცემლობა ჩვენში არ არსებობს
—მისი კომერციულ ნიადაგზე დაყენება
ისე არ შეიძლება, რომ კონკურენცია
გაუწიოს სხვა სპეკულიაციის კანტო-
რებს...

ამის გარდა მწერალი მოკლებულია
იმ ობიექტიურ საგნებს, რომელიც ჰქმნიან
მუშაობის და შემოქმედების ინტიმობას
და რომლის მინიმუმიც შეუძლებელია
დაკმაყოფილებული იყოს შიმშილობის
დროს.

ამიტომ, როცა დღეს ყოველი დაწესე-
ბულება, რომელსაც სახელმწიფოსთან კა-
ვშირი აქვს, უშვებს თავის ბიულეტენებს
და წიგნებს, ქართველ მწერლებს არ
აქვთ ერთი ჟურნალიც სადაც დაბეჭდვა
შეეძლოთ... ეს უკვე ეროვნულ შეურაც-
ყოფამდე შიდის და დიდხანს ისე გაგრძე-
ლდება, მწერლობასაც და საქართველო-
საც სირცხვილს აყენებს.

რადგან ქართველ მწერლობისთვის არ
ყოფილა ჰონორარი, ამიტომ არ არსე-
ბობს ურთიერთ დამხმარე კასა როგორც
სხვა ყველა პროფესიონალურ კავშირებს
აქვთ და მწერალთა კავშირი, რომელსაც
არავითარი სახსარი არ აქვს, დაკმაყო-
ფილოს გაჭირვება თავის წევრებისა.

მართალია ყოფილა შემთხვევა როცა
მთავრობა დახმარებია კერძო პირებს, მა-
გრამ ამის იმედნი მოთხოვნილებაა, რომ
ასეთი დახმარება ვერ გასწვდება ყველას
და აგრეთვე ბევრია ისეთი მწერალი რო-
მელიც გაჭირვებას ირჩევს, ვინემ მო-
ვრობის შეწუხებას...

შეიძლება ბევრი კონკრეტიული მაგა-
ლითების მოყვანა თუ, სანამდი დაეცა
ჩვენი მწერლობას, და სანამდი მიდის მი-
სი გაჭირვება—ამაზე პრესასაც მიუქცევია
ყურადღება—მაგრამ ჩვენ დარწმუნებული
ვართ, რომ დემოკრატიულ მთავრობას
რომელიც თვითონ გამოვიდა ხალხიდან
და მწერლებიდან ეს მოეხსენება.

ამიტომ მწერალთა კავშირის საბჭო,
მწერალთა საზოგადო კრების დადგენი-
ლების თანახმათ, რომელიც მოხდა 5 ივ-
ლისს საადგილმამულო ბანკში—მიმარ-
თავს დემოკრატიულ მთავრობას შემდეგი
თხოვნით.

1. გადადებული იქმნას მთავრობის სა-
თანადო დეკრეტით და შემდეგ გატარე-
ბული დამფუძნებელ კრებაში ქართულ
მხატრულ ჟურნალის დაარსებისთვის საჭ-
ირო თანხა.

თანხა განსაზღვრული იქნება იმ სმეტის
მიხედვით რომელსაც წარმოადგენს მწე-
რალთა კავშირის საბჭო.

2. გადადებულ იქნას აგრეთვე მწერა-
ლთა კავშირის სახელზე ერთდროულათ
თანხა, რომ შეიქნას კავშირთან ფონდი
მოხმარდეს ლარიბ და გაჭირვებაში მყოფ
მწერლებს, ამ ფონდიდან დახმარებას მი-
იღებენ გარდაცვალებულ მწერალთა ოჯა-
ხები, რომელთა უმრავლესობა გაჭირვე-
ბას განიცდის.

მიეცეს სესხის ან დახმარების სახით ამ
თანხიდან ფული იმ მწერლებს, რომელ-
ნიც თავის ნაწერთა გამოცემას მიჰყოფენ
ხელს, აგრეთვე ამ თანხის საშუალებით
გაიზართება საღამოები, იუბილეები და
აგრეთვე ისეთი დაწყებანი, რომელთა მი-
ზანიც ი ნება მწერალთა ცხოვრების გა-
უმჯობესება, მოეწყობა ექსკურსიები სა-
ქართველოს ყველა კუთხეებში, და საერ-
თოდ საბჭო გაუძღვება მორიგ მოთხოვ-
ნილებებს.

საბჭო იღებს რა ხელმძღვანელობაში, რომ
მწერალთა რიცხვი საქართველოში ყველა
ხელოვანებთან შედარებით დიდია და აგ-
რეთვე გაჭირვებაც უფრო მეტია ეს თან-
ხა უნდა უახლოვდებოდეს ერთ მილიონ
მანეთს.

3. მწერალთა კავშირის საბჭო ითხოვს
რომ საბჭო მიღებულ იქნას, როგორც
სხვა პროფესიონალური კავშირი და სარ-
გებლობდეს იმ უპირატესობით რითაც
სარგებლობენ სხვა კავშირები პირველ სა-
ჭიროებების მოთხოვნილებათა დაკმაყო-
ფილების დროს...

უდგენს, რა მთავრობას ამ მემორან-
დუმს, მწერალთა კავშირი იმედს გამოსთ-
ქვამს, რომ თხოვნა დაკმაყოფილებული
იქნება. ამის საწინდარია სოციალისტური
შემადგენლობა მთავრობის და მისი მო-
ღვაწეობა აქამდის. ჩვენ ვჯერა, რომ
რევოლუციის მონაპოვართ, რომელსაც
ამდენხანს ასე ინახავს ჩვენი ერი, მთავ-
რობის საშუალებით—მიემატება კიდევ
ერთი მიღწევა და მოპოება ხელოვნების,
მით უმეტეს, რომ არც ერთ ყოფილ რუ-
სეთის რესპუბლიკებში და არც რუსების
საბჭოთა რესპუბლიკაში არ ყოფილა გა-
რჩევა პროლეტარულ და ხელოვნების წა-
რმომადგენელთა შორის.

მით უმეტეს საქართველოს დემოკრა-
ტიული მთავრობა გამოსული ხალხისაგან
ახლოს მიიღებს მწერლების მდგომარეო-
ბას და განკარგულებას გასცემს დაუყო-
ნებლივ გამორკვეულ იქნას და დაკმაყო-
ფილებული მწერალთა კავშირის საბჭოს
თხოვნა:

— ინგლისის სამხედრო სასამართლომ 7500 მანეთით დააჯარიმა ფ. გიორგაძე რუსეთის მთავრობის კუთვნილ მავთულით გაყიდვისათვის.

— აგრეთვე დაჯარიმებული იქნა ერ. დიასამიძე და ებ. ჯამბულაძე ათას ათასი მანეთით რუს საზ. კუთვნილ მავთულის შენახვისათვის.

— ამავე სამამართლოს მიერ 1000 მანეთით დაჯარიმებულ იქნა მამედ მუსტაფა ოღლი უნებართვოთ რევოლვერის ტარებისათვის.

— ინგლისის სამხედრო სასამართლომ 600 მანეთით დააჯარიმა სერაფიონ მორსიანი, დათვ. თავდიშვილი 3000 მან. რომლებსაც ინგლისელთა საძირე ტყავი უნახეს.

— ბათომში ჩამოვიდა კალიფორნიის ერთ-ერთ ქაღალდის დამზადებელ ფირმის „გართი-"ს წარმომადგენელი, რომელიც ამ დღეებში თბილისს წავა საქართველოში ბამბეულისა და სხვა ქაღალდის მრეწველობისათვის საჭირო მასალების გასაცნობად.

— ინგლისის სამხედრო სასამართლომ 5 ათასი მანეთით დააჯარიმა პ. ჩხეიძე და 2000 მანეთით ვლ. ეჟევსკი რესტორან „კაზინდში" ბყალ-მაყალისათვის.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

ივლისის 31-ს.

ინგლისური პრესა.

სერბიის მეფე პეტრე. „პტი პარიზიენ"-ი სწერს, რომ სერბიის მეფეს პეტრეს სურს ტახტიდან გადადგეს და მონასტერში ბერად აღიკვეცოს.

ასტრახანი ბოლშევიკების ხელში. ხმებია, რომ ასტრახანი ბოლშევიკების ხელშია.

ბერძენ-ოსმალთა ბრძოლა. ანდინის ახლო ბრძოლის დროს ოსმალებმა 1500 კაცი კიდევ დაკარგეს. ოსმალეთის აღმოსავლეთის ოლქებში ქურთები დიდ უწესობას ახდენენ. ოსმალეთის მთავრობამ მოლაპარაკება გაბმა ქურთების ბრბოებთან და მათ ბელადებთან, მაგრამ არ იციან სახელდობრ რომელ ქურთების წარმომადგენელნი არიან ესენი. დასავლეთ ანატოლიაში მდგომარეობა ძალიან გართულდა. იქა სდგას ბერძნების 50,000 კაცი და ოსმალების 2000 რეგულიარული და 15 ათასი გაუწრთვნელი ჯარი. ოსმალეთის რეგულიარული ჯარი ბერძნებს წინააღმდეგობას უწევს. სანჯაყის, სმირნის და ყაზანის მიდამოების დაქვრაში, თუ დიდი სახელმწიფონი თავის დასტურს არ დასცემს.

ფრანგული პრესა.

ავსტრიის ახალი ნოტები. მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ სამშაბათს დილით ავსტრიელებისაგან 27 ივლისის თარიღით 3 ნოტა მიიღო. პირველში საბჭოს აუწყებენ, რომ ბაუერი გადადგა და საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა კანცლერი რენნერი. მეორე ნოტა თხოვნას შეიცავს რომ ერთი კვირით კიდევ გააგრძელონ საზავო პირობებზე პასუხის მისაცემად დადებული ვადა. მესამე ნოტაში ავსტრიელები სჩივიან რომ მეზობელმა ხალხებმა ჩეხებმა, პოლონელებმა და გერმანელებმა დაპირება არ შეასრულეს და ავსტრიას ქვა-ნახშირს არ აწვდიან. სამშაბათს დილით პარიზში ჩამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი პოლკი, რომელიც ვილსონს და ლანსინგის მაგიერობას გასწევს. კონფერენციაზე, როგორც ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარე.

გერმანული პრესა.

მაკენზენი. ფელდმარშალ მაკენზენს ჯერ კიდევ არ უშვებენ ჰუნგრეთიდან და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

შვედური პრესა გერმანია - რუსეთის კავშირზე. სტოკჰოლმის გაზეთი, ბრანტინინგის ორგანო „სოციალ - დემოკრატენი" გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის დაახლოებაზე მსჯელობს და მოკავშირეთა სახელმწიფოების გამარჯვებულ კაპიტალიზმს აფრთხილებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე გადასინჯონ და შესცვალონ საზავო ხელშეკრულება, რათა ხელი შეუშალონ რუსეთისა და გერმანიის კომუნისტების შეკავშირებას.

ბოლშევიკური ცნობები.

მუშაობის განახლება ტელეგრ. მოსამსახურეთა. ნაუენი. ივლ. 29. ბერლინის ტელეგრაფის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს მუშაობა განაახლონ, რადგან ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის პრეზიდიუმსა და მთავარ სამმართველოს შორის მოლაპარაკებამ დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწია.

გერმანელ ტყვეების დაბრუნების შეწყვეტა. ჰელსინგფორსი. ივლ. 26. ფოშმა გრძანება გასცა, შესწყვიტონ გერმანელ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება, სანამ ბერლინი ფრანგ სერჟანტ მანჰეიმის მკვლელობის გამო დადებულ 1 მილიონ მარკას არ გადაიხდის.

დენიკინის სამფლობელოში. ჰენზა. ივლ. 28. დენიკინი ოცნებობს გაერთიანებულ რუსეთის შექმნაზე. მალე გასაყიდათ გამოვა მარკები „გაერთიანებული რუსეთი". დაარსდა სენატი ყოფილ მეფის სენატორებისაგან, ძველი კომპეტენციით და მიზნებით. ყუბანის რადამ ამ სენატის უფლებამოსილება არ აღიარა რის გამოც დონის გენერლებსა და ყუბანის წვრილ ბურჟუაზიის შორის დამოკიდებულება გამწვავდა. კადეტთა მიმართულების დონეცის ყაზახები მოუწოდებენ, რომ უნდა განიდევნოს დამის ადგილზე გენ. მკურო დანიშნონ. ამასთან ერთად სდგას რაიბოვოლოს მკვლელობა.

დონის წრეში. ჰენზა, ივლ. 28. „დონსკია ვედომოსტ"-ში დაბეჭდილია, რომ ყაზახთა წრემ დაადგინა, რომ 1-ლ სექტემბრიდან დაიწყონ მიღებულ აგრარულ კანონ-პროექტის განხორციელება ინგლისის პრესის ცნობით კორელის პასუხს ამ კვირის დასასრულს განიხილავს საზავო კონფერენცია.

„პეტროგრადის დღე". სამარა, ივლ. 26. „პეტროგრადის დღე"-ში რევოლუციონური აღფრთოვანებით ჩაიარა. ამ დღეს ყულაბგბით შეიკრიბა 150,000 მან. პური 20,000 ფუთი მოგროვდა.

ბოლშევიკების დავლა. ბუზულოვი, ივლ. 28. ურალკის რაიონში 15000 სული საქონელი ჩავიგდეთ ხელში.

ხარკოვის ქალაქის თავი. კონოტოპი, ივლ. 27. ხარკოვის ქალაქის თავად კადეტი სალტიკოვი დაინიშნა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის და უ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნოტა გარეშე საქმეთა მინისტრთან.

პარიზში პიშონმა 12 აპრილს რადიოგრამით, რუსეთის მოქალაქეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს მათ გზავნას.

წარმოდგენები სოფლად.

ს. თერჯოლა. კვირას ივლისის 20 ს. თერჯოლაში, დეკიძეებში, გაიმართა საღამო ნინა ლევიძის მეთაურობით. წარმოდგენილ იქმნა: „ფარნაოზის მესამე ცოლი." კომედია ს. შავგულიძისა, აგრეთვე წაიკითხეს სხვა პატარ პატარა სცენები. „ფარნაოზის მესამე ცოლში" ყურადღებას იპყრობდა გრიშა აბულაძე (ფარნაოზი) და ლევიძე (მარდოხა) საერთოდ თვითეულს მოთამაშეს კარგათ ქონდა შეთვისებული და შესწავლილი თავისი როლი და კარგი ჩთაბეჭდილებაც დასტოვეს ხალხზე. დასასრულს იმღერეს სცენაზე. ხალხის ყურადღება მიიპყრო მღდელი. ი. ბარბაქაძის ქალიშვილის სიმღერამ. ამ ორ კვირაში თერჯოლის ორკლასიანი სკოლის შენობაში გაიმართება წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, თერჯოლის უფასო წიგნ-საკავ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ მოწაფეები, სტუდენტები და ადგილობრივი ინტელიგენტები.. დიდი მადლობის ღირსნი არიან ის პირები რომლებმაც თავს იდვეს ასეთი მძიმე საქმე და ეცდათ თავისი მეცადინეობით სიცოცხლის ელფერი დააჩინონ სამკითხველოს, რომელსაც ძლიერ ესაჭიროება დახმარება.

ვ.

კორესპოდენცია.

თერჯოლის საზოგადოება. (შორ. მაზ.) სანამ თერჯოლის საზოგადოებაში წვრილი საერობო ერთეულები აირჩევოდეს, მანამდი სამაზრო ერობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უნუგეშოდ მიტოვებულს სოფელს. ერთი თვის შემდეგ გლეხები სამუშავარს გაათავებენ. აი ამ დროს ადვილად შეიძლება გზების შეკეთება, მხოლოდ ძალის დატანება უნდა. გზები მაინცა და მაინც ბევრს შეკეთებას არ თხოულობს. მხოლოდ იქა-აქ შეხვდება ადამიანი ისეთ ლაფს რომ ურმით (ფეხითაც) გასვლა ყოვლად მოუხერხებელია. ვაი მისი ბრალი ვისაც ურემს მიუტოვებს ხარი ამ ლაფში. მან ურმიან ხარიანა უნდა მიატოვოს ყველაფერი. ამ ზამთარში ბეითალმა ცხადაძემ აუცრა საქონელს და კიდევაც გაახარა გლეხების გული. მისი აცრილი საქონელი ერთიც არ გაბრუნდებულა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ყველამ ვერ მოასწრო აცრა. წამალმა არ იკმარა და აუცრელ საქონელს შეხვდა ჭირი და მუსრს ავლებს (ს. სიქთარუაში) რა ქნას, რა წყალში ჩავარდეს გლეხი. აუცრას? ვერ გადაიტანს საქონელი, რადგან დიდი სიცხეები დადგა. არ აუცრას და ესალმება მარჩენელ ხარს...

სიქთარუაში კოოპერატივის ახლოს წამოჭიმეს კერძო დუქანი და მოწადინებული არიან დაასამარონ კოოპერატივი... მაგრამ კოოპერატივს აღმოუჩნდება ღირსეული დამცველები.

ივლისმა დიდი სიცხეები დაიკავა ვაზები დახწვა, სიმინდები წაახდინა, ღვინო ფასობს 3000—3500 მანეთი, სულ უკანასკნელი. კიდევ უფრო გაძვირდება ამ ცოტა ხანში, რადგან მოსავლის იმედი ცოტაა. გახშირდა ისევ სრიალა. ადმინისტრაციის მხრივ მეტი ყურადღებაა საჭირო.

ვ. გ.

ს. სიქთარუა (შორაპ. მაზრა.) შაბათს ივლისის 26-ს ს. სიქთარუის სკოლის ეზოში გაიმართა საღამო ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ მოწაფე ნ. კახიძის სასარგებლოდ. სეირნობის შემდეგ წარმოდგენილ იქმნა: „დაჭრილი ორბი"-ს. ერთაწმინდელისა. (დრამა) ამ დრამაში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტი მიტროდან ქოჩიაშვილი (მუშალეო) ვლად. ნემსიწვერიძე მასწავლებელი (სტუდენტი ია) და მოწაფე ქალი ნ. კახიძე (ოლა) "ფარნაოზის მესამე ცოლი" კომედია ს. შავგულიძისა თამაშობდნენ: ნადია კახიძე (ათინა, თეკლე) მიტრიდან ქოჩიაშვილი (ფარნაოზის) ვლადიმერ ნემსიწვერიძე (მარდოხა, ურიის ხელში) სიმონ ცხადაძე (მიტრო) ნინა ქოჩიაშვილი (ვარლ) და ირაკლი ქოჩიაშვილი (ლუკა) იმერელი კილოზე სცენები წაიკითხა ვლად. ნემსიწვერიძე. გურულ კილოზე ჭ. კახიძემ. იმერეს ... ბი „ვაი ვუის" ხმაზე მიტრიდიტ და ირაკლი ქოჩიაშვილებმა.

ითამაშეს სცენაზე ოლია ქორქაშვილმა, და ია შვილის ასულმა. შემდეგ მოხდა ბუკციონი. საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დაიშალა. მერე დღის 8 საათზედ. არ შემიძლია მადლობით არ მივმართო იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ფრიად კეთილი საქმის გაკეთება იდვეს თავს და კიდევაც სინდისიერად და კარგათ აასრულეს როლები. აგრეთვე იმ პირებს ვინც დაესწრენ საღამოს და თავისი წვრილით დახმარება გაუწიეს მოწაფე. ნ. კახიძეს, რომელსაც დიდათ სწყურია სწავლის გაგრძელება.

დასასრულ მთელი იმ საღამოს შემდგარი დასის საშვალებით დიდ მადლობას ვწირავ ბ. ჭუმბურიძეს და აქვსენტი დემეტრაძეს, რომლებმაც თავისი გიტარით და მანდალინით დაატკბეს პატივცემული საზოგადოება და სასყიდელი კი არ მიუღიათ. აღრეთვე მადლობას უძღვნი ქალბ. საშა პატარიძეს და მის მეუღლეს დავითს, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწია ნოხების, სკამების და სხვა და სხვა ნივთების ნათხოვრობით. დასასრულ დიდათ მადლობელი კართ აგრეთვე კ. ბარბაქაძის, რომელიც მთელი ორი დღე არ მოგვცილებია და გვეხმარებოდა სცენის მოწყობაში.

ვ. გუთნურისპირელი.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" ფონდისათვის.

მძიმე პირობებში უხდება რედაქციას გაზეთის გამოცემა.

სიძვირის გამო გაზეთის დეფიციტები ყოველდღიურად იზრდება.

საჭიროა თანამგრძნობთა დახმარება შემოწირულების შეგროვების სახით.

მოუწოდებთ მკითხველებს და პარტიის წევრებთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში შეაგროვონ შემოწირულებანი ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

პარტიულ ახალგაზდებს ვსთხოვთ გამართონ პროვინციებში საღამო-წარმოდგენები და შემოსავალი გამოგზავნონ გაზეთის სასარგებლოთ.

პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს თავის ინტერესების დამცველ ორგანოს.

მოქალაქენო, გაიღეთ თქვენი წვლილი დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

გააძლიერეთ გაზეთის ფონდი.

გაზ. „ჩვენი ქვეყანას" რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 —11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6 — 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— —	წ. დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35 —3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე	დილას.
სამგზავროს	№ 82—4 ს.	4 წ.	საღამოსი

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.